

რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

მუხლი 2. პროგრამის ამოცანები

პროგრამის ამოცანებია მოსახლეობისთვის რეფერალური სამედიცინო დახმარების გაწევა დადგენილი ნოზოლოგიური ჯგუფების შესაბამისად;

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლები

1. პროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეები, გარდა „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის“ (დანართი №1) მოსარგებლებისა და „საქართველოს საჯარო სკოლებისა და პროფესიული სწავლების ცენტრების მასწავლებლების, საჯარო სკოლების ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისა და ზოგიერთი დაწესებულების აღმზრდელთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გადასაცემი სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 21 ნოემბრის №256 დადგენილებით განსაზღვრული მოსარგებლებისა.

2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 4. პროგრამის კომპონენტები და სერვისები

1. სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და სჯსდ-ს მიერ სხვა განსაზღვრულ შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ქვეკომპონენტი

2. საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობის პირთა და მათი ოჯახის წევრთა გეგმიური და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ხარჯების ანაზღაურება

3. ყოფილ უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების და მათი ოჯახის წევრთა სამედიცინო დაზღვევის ქვეკომპონენტი

4. რეფერალური დახმარება

ა) კრიტიკულ მდგომარეობაში მოფი პაციენტების სტაციონარული დახმარება;

ბ) ადგილზე რეფერალური ბრიგადის მიერ კონსულტაცია;

გ) გართულებული შემთხვევების სამედიცინო ტრანსპორტირება;

დ) საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობის პირთა და საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საზღვარგარეთის ქვეყნების ხელმძღვანელთა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.

მუხლი 5. სახელმწიფო შესყიდვა

შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ოგია და ანაზღაურების წესი

ქტირებულ დაწესებულებებს საბიუჯეტო ასიგნებების იცინო მომსახურების თითოეული ეპიზოდი.

2. ეპიზოდები დაჯგუფებულია 2 ჯგუფად.

ა) კრიტიკულ მდგომარეობაში მოფი პაციენტების სტაციონარული მომსახურება. ჯგუფის ყველა ეპიზოდისთვის დაწესებულია ერთი საშუალო ღირებულება - 4 700 ლარი;

ბ) კრიტიკული და გადაუდებელი მდგომარეობების რეფერალური შემთხვევების მართვა: ადგილზე კონსულტაცია და პაციენტთა ტრანსპორტირება, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

| დაუზუსტებელი სამედიცინო დახმარება რეანიმოზილით (კონსულტაცია, ტრანსპორტირება) | თბილისი (საშ 25 კმ) | ქუთაისი, ბათუმი (საშ 20 კმ) | ხარჯი 150 კმ ზონაში | 250 კმ ზონა |
|--|---------------------|-----------------------------|---------------------|-------------|
| ღირებულება | 53,5 | 42,8 | 321,2 | 535,3 |

| დაუზუსტებელი სამედიცინო დახმარება (კონსულტაცია) | თბილისი (საშ 25 კმ) | ქუთაისი, ბათუმი (საშ 20 კმ) | ხარჯი 150 კმ ზონაში | 250 კმ ზონა |
|---|---------------------|-----------------------------|---------------------|-------------|
| ღირებულება | 44,4 | 35,5 | 266,4 | 444 |

მუხლი 7. ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 14 028 306 ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

| № | კომპონენტი | თანხა |
|----|--|-------------------|
| 1. | რეფერალური დახმარება | 5 996 754 |
| 2. | საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობის პირთა და საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საზღვარგარეთის ქვეყნების ხელმძღვანელთა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. | 200 000 |
| 3. | სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებოსიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და სჯსდ-ს მიერ სხვა განსაზღვრულ შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ქვეკომპონენტი | 7 523 841 |
| 4. | საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობის პირთა და მათი ოჯახის წევრთა გეგმიური სამედიცინო დახმარების ხარჯების ანაზღაურება | 307 711 |
| | სულ | 14 028 306 |